29/08/2024

MES 3 24 0001030260

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თეა ლილუაშვილი - განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ქეთი მუთიძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ უფლისციხის საჯარო სკოლა:
ლელა სადაღაშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლა:
ნანი ველიჯანაშვილი - სკოლის დირექტორი

სიპ- ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის №1 საჯარო სკოლა:
შორენა მარაქველიძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგის საჯარო სკოლა:
გალინა პანასენკო-სიმონიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის №2 საჯარო სკოლა:
ნატალია სისვაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის N1 საჯარო სკოლა:
დავით გურგენიძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლა:
ტარიელ სირბილაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):

სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ უფლისციხის საჯარო სკოლა:
ა) ნინო შიუკაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლელა ეუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მაია ფხაკაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თამარ ცხადაია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სალომე ასათიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ინგა კაჭარავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირმა შველიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) შორენა კაკაბაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლა:
ა) ეთერ მეტრეველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ანნა ბედენაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ლელა გორდულაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნანა მარღანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო მურუსიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკა მოსიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) სალომე გოგალაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

თ) ლია ცერცვაძე - ცუცქირიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნათია ორმოცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის №1 საჯარო სკოლა:
ა) ნინო თაბაგარი(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაია ბერიანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა თოიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნანა მარღანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მაია დოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მორის გუმბარიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნათია ნაფეტვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ინგა ანდიაშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევან მეგრელიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგის საჯარო სკოლა:
ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნანა მიქავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ფიქრია მუმლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მეგი ტალახაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ნინო წერეთელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მადონა ბობოხიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ლაშა სარალიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის №2 საჯარო სკოლა:
ა) მაია ლაპიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თორნიკე შევარდნაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მარინა ტარუღიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) გვანცა მოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მაკა აფრიამაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ბელა დურგლიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ირინე შარაბიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლ) შორენა კაკაბაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის N1 საჯარო სკოლა:
ა) ნინო ელბაქიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ტარიელ გველესიანი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო ბერიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ბესიკი ბერიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თინათინ ბეგიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო ზირაქაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) თინათინ ლაზარაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარიამი ღუბელაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნათია ბრეგაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლა:
ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) კახაბერ ფარცვანია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თეა ელერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მამუკა ხაჩიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ლალი ლალიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ხათუნა კალმახელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) დავით ხუციშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 19 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1.სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ უფლისციხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2.სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი კოლაგის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5.სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6.სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7.სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ დააყენა შუამდგომლობა სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ უფლისციხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხი განეხილათ მეორე საკითხად, ვინაიდან, ექსპერტს, ნინო შიუკაშვილს ჰქონდა ტექნიკური ხარვეზი და ვერ ახერხებდა პრეზენტაციის წარმოდგენას საბჭოსთვის.

საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1.სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2.სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ უფლისციხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3.სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4.სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი კოლაგის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5.სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6.სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7.სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. **სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ეთერ მეტრეველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 04 და 05 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალაში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 80 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 80 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი)(დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო „მეტწილი“ შესაბამისობით შეფასდა მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა). ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაცია და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე. მისი განმარტებით, სსიპ-ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლა, არაფორმალური განათლების კუთხით, აქტიურად ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს, მათ შორის, სპორტულ აქტივობებში ჩართულობით ეწეოდა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობდა არჩევით უცხო ენებს - გერმანულსა და რუსულს. სკოლის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ შენობა იყო ერთსართულიანი, არ ჰქონდა ცენტრალური გათბობა და სარგებლობდა შეშის ღუმელით, ასევე, არ ჰქონდა შიდა სპორტული დარბაზი, თუმცა სპორტის საგაკვეთილო პროცესისთვის იყენებდა გარე სპორტულ მოედანს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, იყო თუ არა სოფელი იდუმალა გაზიფიცირებული, რაზეც სკოლის დირექტორმა, ნანი ველიჯანაშვილმა, განაცხადა, რომ სოფელი ბოლო ერთი წელია რაც გაზიფიცირდა და სკოლამ მერიისგან მიიღო დაპირება, რომ უზრუნველყოფილი იქნებოდა გაზის სისტემით.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, ასევე დაინტერესდა რამდენი პირველკლასელი მოსწავლე ჩაირიცხა მიმდინარე წელს. სკოლის დირექტორმა, ნანი ველიჯანაშვილმა, განაცხადა, რომ მიმდინარე წელს პირველ კლასში ჩაირიცხა ორი მოსწავლე.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა რომ სკოლის კურიკულუმებში, კერძოდ საზოგადოებრივი მეცნიერებისა და ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით, კომპლექსური დავალების პირობები არ იყო წარმოდგენილი სრულფასოვანი სახით. საბჭოს წევრმა, ექსპერტებს სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინათ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივმა ექსპერტმა, ეკა მოსიაშვილმა, განაცხადა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა გაესწორებინათ კოპლექსური დავალების პირობები და მეტად შემოქმედებითი გაეხადათ ის. საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტმა, ნანა მარღანიამ, ასევე განაცხადა, რომ მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა სურვილი და მზადყოფნა, რომ იმუშავებდნენ კომპლექსური დავალებების გაუმჯობესებაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, სკოლას რჩევის სახით განუცხადა, რომ ემუშავათ კომპლექსური დავალებების გამრავალფეროვნებაზე და მოერგოთ მოსწავლეთა ასაკობრივ კატეგორიებზე.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას სტრატეგიული განვითარების გეგმაში სუსტ მხარედ დაფიქსირებული ჰქონდა მშობელთა ჩართულობა, მატერიალურ ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რა იწვევდა სკოლაში მშობელთა ჩართულობასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მაშინ, როცა დაწესებულება შესაბამის საგანმანათლებლო მომსახურებას უწევდა მხოლოდ 19 მოსწავლეს და რა ღონისძიებები გაატარეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის დირექტორმა, ნანი ველიჯანაშვილმა, განმარტა, რომ მშობლების პასიური ჩართულობა გამოწვეული იყო დროის უქონლობით, ვინაიდან, დაკავებულები იყვნენ სასოფლო- სამეურნეო საქმიანობით, თუმცა სკოლას აღნიშნული პრობლემის მოგვარებისთვის გადადგმული ჰქონდა გარკვეული ნაბიჯები და ეტაპობრივად იზრდებოდა მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის წილიც. სკოლის დირექტორმა, მატერიალურ ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საკლასო ოთახები არ იყო აღჭურვილი კარადებით, თუმცა სკოლა გეგმავდა შეძენას.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოებთან მიწერილობა სკოლის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას პასუხი, როდის მოგვარდებოდა აღნიშნული პრობლემები.
სკოლის დირექტორმა, ნანი ველიჯანაშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულება ითხოვდა სპორტულ მოედანს, რომელიც მოეწყობოდა მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში. ასევე გამოსწორებული იყო ვიდეო- კამერებთან დაკავშირებული ხარვეზი, ხოლო რაც შეეხებოდა სხვა ინფრასტრუქტურულ საკითხებს, დაწესებულება არ ფლობდა ზუსტ ინფორმაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 80 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 16:30
დასრულების დრო: 16:40

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის საჯარო სკოლას (ს/კ:223104405) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი იდუმალა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი იდუმალა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი, მე-2 (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) მე-3 და მე-4 სტანდარტები.

2. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ უფლისციხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ უფლისციხის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 24 და 25 ივნისს. სკოლა მდებარეობდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ უფლისციხეში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 150 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო “მეტწილი” შესაბამისობით შეფასდა მე-2 სტანდარტის საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა. მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ და განმარტა, რომ სკოლა ეფექტურად მუშაობდა ინკლუზიური განათლების მიმართულებით. მასწავლებლები მოსწავლეებთან მუშაობის პროცესს გეგმავდნენ მათი საჭიროებების გათვალისწინებით, ეხმარებოდნენ ადაპტაციასა და სოციალიზაციაში. ასევე, გუნდური და ეფექტურად დაგეგმილი მუშაობის შედეგად, ბავშვებს განუვითარდათ მიმღებლობა, ხოლო სსსმ მოსწავლეებმა დაძლიეს როგორც სოციალური, ასევე აკადემიური სირთულეები. ექსპერტის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ სკოლა ორსაფეხურიანი იყო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა არ ჰქონდა, ცდილობდა საბაზო საფეხურზევე ეკვლია მოსწავლეთა პროფესიული და კარიერული ინტერესები.
ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა, გააზიარა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და ისაუბრა რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებზე. მან აღნიშნა, რომ შენობას ჰქონდა ღია აივნები, რომლებსაც ფაქტობრივად დერეფნის ფუნქციას ასრულებდა. უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას ამაღლებული ჰქონდა აივნების მოაჯირები, მაგრამ დამატებით რკინის კონსტრუქციას ჰქონდა დიდი, განიერი უჯრედები, რაც ზრდიდა საფრთხის ალბათობას. მეორე და მესამე სართულის აივნების(დერეფნების) იატაკი რამდენიმე მონაკვეთზე მკვეთრად იყო ჩაზნექილი, ფილები იყო ამოვარდნილი და მოძრავი, რაც ასევე არ იყო უსაფრთხო. ექსპერტის თქმით, კიბის უჯრედების ქვედა ნაწილი იყო დაზიანებული, ჩანდა რკინის კარკასი და პერიოდულად იყრებოდა ნალესი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი, გიორგი გიგიბერია, შენობის არქიტექტურიდან გამომდინარე, დაინტერესდა თავიდანვე იყო თუ არა აღნიშნული ნაგებობა სკოლისა და სასწავლო მიზნებისთვის

განკუთვნილი. ექსპერტმა, ნინო შიუკაშვილმა, განაცხადა, რომ სკოლის სამსართულიანი შენობა იყო არასტანდარტული, ამასთან აშენებული იყო დიდი ხნის წინ და თავიდანვე გამოიყენებოდა სასწავლო მიზნებისთვის.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლას მისცა რჩევა, შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია (რაოდენობა) აესახათ შრომით ხელშეკრულებებში.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმოიხილა რამდენიმე საგნის კურიკულუმი კომპლექსურ დავალებებთან ერთად და აღნიშნა, რომ ფიქსირდებოდა, როგორც შინაარსობრივი, ასევე ტექნიკური ხარვეზები. საბჭოს თავმჯდომარემ, საგნობრივ ექსპერტებს სთხოვა მეტი დეტალი წარმოედგინათ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.
სპორტის საგნობრივმა ექსპერტმა, ედუარდ ნაკაიძემ, განაცხადა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტაცია, კერძოდ, დაწყებითი კლასების კურიკულუმების ნაწილი მოიცავდა არა ერთ ხარვეზს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შემდეგ, სკოლამ გადმოაგზავნა რედაქტირებული ვერსიები.
საბჭოს წევრი, შალვა მეკრავიშვილი, დაინტერესდა, გაკვეთილებს შორის შესვენების დროს გადიოდნენ თუ არა მოსწავლეები ღია დერეფნებში. სკოლის დირექტორის, ლელა სადაღაშვილის განმარტებით, შესვენების დროს მოსწავლეები სარგებლობდნენ ღია დერეფნით.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა და საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ღია დერეფანში გასვლა საფრთხეს შეუქმნიდა მათ ჯანმრთელობას, ამიტომ სკოლის დირექტორს მისცეს რჩევა, უსაფრთხოების მიზნით, გადაეხურა აღნიშნული სივრცე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ უფლისციხის საჯაროსკოლისავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 17:15
დასრულების დრო: 17:25

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ უფლისციხის საჯარო სკოლას (ს/კ: 218049305) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,

			პროგრამის განხორციელების ენა	ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი უფლისციხე
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი უფლისციხე

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის აგვისტოდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - 1-ელი; მე-2 (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) მე-3 და მე-4 სტანდარტები.

3. სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკ ითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო თაბაგარმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის №1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 20 და 21 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზეგანში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 50 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 50 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა), შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაცია და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ნინო თაბაგარმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე. მისი თქმით, სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის N1 საჯარო სკოლაში ირიცხებოდა სულ 10 მოსწავლე და დასაქმებული იყო 12 მასწავლებელი. სკოლის მცირე კონტიგენტი ზღუდავდა საკლასო ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობას. შესაბამისად, ყველა ღონისძიებაში, რომელსაც ატარებდა სკოლა, მონაწილეობას იღებდა ყველა კლასი და მასწავლებელი, რაც თავისთავად ზრდიდა ჩართულობის პროცენტს. საგნობრივი კათედრები ერთად მუშაობდნენ კურიკულუმებზე და უზიარებდნენ გამოცდილებას, გეგმავდნენ ერთობლივ გაკვეთილებსა და პროექტებს. ექსპერტის თქმით, ერთად დაგეგმილი ღონისძიებები ქმნიდა სკოლის გამორჩეულ პრაქტიკას. სკოლაში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებდა ეკო კლუბი და მკითხველთა წრე. მეზობელი სოფლის მოსწავლეებთან ერთად ხორციელდებოდა სპორტული შეჯიბრებები. ასევე, ვინაიდან სოფელში შეიმჩნეოდა მოსახლეობის მიგრაცია, სკოლა გეგმავდა მოსწავლეთა დაინტერესებას სოფლის მეურნეობის კონკრეტული დარგის (მევენახეობა/მეღვინეობის) შესწავლის ხელშეწყობით. დაწესებულება მართავდა ექსკურსიებს ღვინის მარნებში და შესაბამისი დარგის პროფესიის წარმომადგენლებთან შეხვედრებს. ასევე, სკოლას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი ქუთაისის „აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტთან " რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, რამდენი პირველკლასელი მოსწავლე მიიღო სკოლამ ახალი სასწავლო წლისთვის. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, შორენა მარაქველიძემ, განმარტა, რომ მიმდინარე წელს სკოლაში პირველკლასელი მოსწავლე არ ჩარიცხულა. საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, მოსწავლეთა მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, რამდენად ხელმისაწვდომი იყო შესაბამისი და ხარისხიანი განათლების მიწოდება მოსწავლეებისათვის. ექსპერტის, ნინო თაბაგარის განმარტებით, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი პედაგოგებთან ერთად არ ზოგავდა ძალისხმევას იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიეღოთ შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა ექსპერტებს, მეორე სტანდარტთან მიმართებით საბჭოსთვის წარმოედგინა მეტი დეტალი.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ნანა მარღანიამ, განმარტა, რომ სკოლამ გამოთხოვილი დოკუმენტაცია წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევების შესაბამისად, დადგენილ ვადებში. ნანა მარღანიამ ასევე აღნიშნა, რომ ის საქმიანობა, რომელსაც სკოლა ახორციელებდა და რომელიც დოკუმენტაციის შესწავლითა თუ გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, მიმართული იყო პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე. მიუხედავად იმისა, რომ სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში , შეიმჩნეოდა მისი უწყვეტი პროგრესი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 50 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 16:30
დასრულების დრო: 16:40

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეგნის №1 საჯარო სკოლას (ს/კ:225065363) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 50- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზეგანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზეგანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზეგანი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:
საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის აგვისტოში 3.5 კომპონენტთან მიმართებით, ინკლუზიური გარემოს შექმნის, კერძოდ, შენობის მეორე სართულზე შშმ პირთა გადაადგილებისათვის შესაბამისი პანდუსის ან ამწის მონტაჟის, რესურსურს ოთახის შესაბამისი ინვენტარით მოწყობის და საერთო სარგებლობის სივრცეების პირველ სართულზე გადმოტანის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

16:45 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ დასაქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი.

4. სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი კოლაგის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი კოლაგის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 04 და 05 ივლისს. სკოლა მდებარეობდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 150 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 150 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მე-3 სტანდარტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა), შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცემული რეკომენდაციები და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება აღჭურვილი იყო ყველა საჭირო ინვენტარითა და მატერიალური რესურსით. მისი თქმით, დაწესებულებას არ ჰქონდა შიდა და გარე სპორტული მოედანი, მაგრამ სკოლის მახლობლად იყო გურჯაანის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული სპორტული მოედანი, რომელსაც სპორტის საგაკვეთილო პროცესისთვის იყენებდა სკოლა.
ექსპერტის თქმით, ყველა თანამშრომელს წარმოდგენილი ჰქონდა ნასამართლეობისა და სქესობრივი თავისუფლებისა ხელშეუხებლობის შესახებ ცნობები.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ დაწესებულების პრიორიტეტს წარმოადგენდა არაფორმალური განათლების გაძლიერება, აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი შექმნილი იყო სხვადასხვა კლუბი და ხორციელდებოდა პროექტები, მათ შორის: „შევინარჩუნოთ მწვანე საფარი“, „მომავალი ჩვენია“ და ა.შ. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულება აქტიურად იყო ჩართული პროექტში „მომავლის თაობა“, რომელიც განხორციელებული იყო ამერიკული ორგანიზაცია PH International-ის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებითა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით. ექსპერტის თქმით, სკოლა ჩართული იყო USAID-ის პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებდა წიგნის მკითხველთა კლუბი. ასევე, სკოლას ჰყავდა ფრენბურთისა და ფეხბურთის გუნდები.
2021-2022 წელს დაწესებულება ჩართული იყო „ახალი სკოლის მოდელში“.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, აღნიშნა, რომ საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში სკოლაში იყო 138 მოსწავლე, ხოლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 150 მოსწავლეს, შესაბამისად, დაინტერესდა, რატომ იყო ასეთი მცირე სხვაობა მოცემულ რაოდენობებს შორის. ექსპერტის, ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, სკოლაში იყო 7 საკლასო ოთახი და დაწესებულებას არ ჰქონდა მეტი მოსწავლის მიღების რესურსი. სკოლის დირექტორის, გალინა პანასენკო-სიმონიშვილის თქმით, სოფელ კოლაგის მოსახლეობის რაოდენობა იყო 400, ასევე გაზრდილი იყო მიგრაცია და ყოველწლიურად მცირდებოდა პირველკლასელ მოსწავლეთა რიცხვი.
საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი დაინტერესდა, საქმის წარმოებისთვის იყენებდა თუ არა სკოლა დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას e-flow-ს. ასევე, სკოლის დირექტორს მისცა რჩევა, ფინანსური წლის შესახებ ანგარიში სამეურვეო საბჭოსთვის მიეწოდებინა ვადების დაცვით. სკოლის დირექტორის, გალინა პანასენკო-სიმონიშვილის განმარტებით, დაწესებულება აქტიურად იყენებდა e-flow-ს, ხოლო გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ გაითვალისწინებდა აღნიშნულს.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, განეხორციელებინა კურიკულუმების რევიზია.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, სახანძრო უსაფრთხოებისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნასთან მიმართებით რა ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული სკოლას.
სკოლის დირექტორის, გალინა პანასენკო-სიმონიშვილის განმარტებით, მიმართული ჰქონდა შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოებთან და მიმდინარე წლის სექტემბრის თვისთვის ელოდა შენობის მდგრადობის შესახებ ექსპერტიზის დასკვნას, ხოლო სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ჰქონდა მიწერილობა.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი კოლაგის საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 17:10
დასრულების დრო: 17:20

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელი კოლაგის საჯარო სკოლას (ს/კ:227752269) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოლაგი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოლაგი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი კოლაგი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:
საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის აგვისტოში 1,2, 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნების, ასევე სტრატეგიული სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით, შექმნილი სამოქმედო

გეგმისა და ინკლუზიური გარემოს შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

17:25 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია.

5. სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია ლაპიაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის №2 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 17 და 18 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 240 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 240 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, მაია ლაპიაშვილმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შეიმჩნეოდა გუნდური და თანამშრომლობითი გარემო, ასევე, სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა არაფორმალური განათლების განვითარებას და თანამშრომლობდა სხვადასხვა უნივერსიტეტსა თუ სკოლასთან. ექსპერტის თქმით, სკოლის ერთ-ერთ ოთახში იყო მუზეუმი, სადაც გამოფენილი იყო ფოტო-მასალა და მონაცემები, სკოლის არსებობის პერიოდში სკოლაში დასაქმებულ პირთა შესახებ. ასევე, სკოლას ჰქონდა პროფესიული პროგრამების სწავლების პრაქტიკა და მატერიალური ბაზა (საკერავი მანქანები) და მოძრავი ბიბლიოთეკა.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება იყო ახლადრეაბილიტირებული, აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარითა და მატერიალური რესურსით, თუმცა, ექსპერტის თქმით, სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია და სამედიცინო კაბინეტი.
ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 სტანდარტები (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა), შეფასდა, როგორც „მეტწილად“ შეესაბამება სტანდარტის

მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაიცემული რეკომენდაცია და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლას მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე განეთავსებინათ სრულყოფილი ინფორმაცია, ასევე, მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში მიეთითებინათ შრომის ანაზღაურების რაოდენობა და სკოლის დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოსთვის წარედგინა ვადების დაცვით. საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა სკოლას დამატებით მისცა რჩევა, „ჩემი საქართველოს“ მიმართულებით მეტი ყურადღება დათმობოდა კახეთის რეგიონს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ ქიმიის კურიკულუმები გამორჩეულად კარგად იყო შედგენილი. აღნიშნულთან დაკავშირებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა, ხათუნა ნოზაძემ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ქიმიის მასწავლებელი აქტიურად ატარებდა სხვადასხვა ღონისძიებას.
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია ლაპიაშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა შენობა-ნაგებობის მდგრადობის დოკუმენტთან დაკავშირებით რა ეტაპზე იყო დაწესებულება. სკოლის დირექტორის, ნატალია სისვაძის განმარტებით, შესაბამისმა სამსახურმა შეისწავლა შენობის მდგრადობა და მიმდინარე თვის ბოლომდე წარმოადგენდა დამადასტურებელ მტკიცებულებას. გარდა ამისა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფისთვის მიწერილობა ჰქონდა პასუხისმგებელ ორგანოსთან.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო სამედიცინო ოთახის მოწყობისა და ექთნის აყვანის საკითხი. დაწესებულების დირექტორის, ნატალია სისვაძის, განმარტებით, სკოლას ჰყავდა ექთანი, ასევე, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან გადაეცათ ინვენტარი, თუმცა ელოდნენ შესაბამისი სივრცის მოწყობას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 240 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 17:40
დასრულების დრო: 17:55

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ აფენის №2 საჯარო სკოლას (ს/კ: 233137370) 9 წლის

ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 240- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი აფენი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი აფენი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი აფენი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის აგვისტოში 2.1, 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის, სამედიცინო კაბინეტის მოწყობის, შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და მეორე სართულის და საერთო სარგებლობის სივრცეების (საბიბლიოთეკო, კომპიუტერული)
ადაპტირების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

6. სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ელბაქიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 27 და 28 ივნისს. სკოლა მდებარეობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 100 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულება იმ შემთხვევაში შეძლებდა შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის, თუკი სასწავლო პროცესი განხორციელდებოდა ორ ცვლაში. ხოლო საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში სკოლაში იყო 7 მოსწავლე.

ექსპერტმა, ნინო ელბაქიძემ, ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში შექმნილი იყო კეთილგანწყობილი გარემო, მოტივირებული სასკოლო საზოგადოებითა და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით, ასევე, ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტი და ღონისძიება, რომელებშიც სასკოლო საზოგადოებასთან ერთად ადგილობრივი თემიც აქტიურად იყო ჩართული, გარდა ამისა, ექსპერტის თქმით, სკოლაში, მოსწავლეთა მოზიდვის მიზნით, დაწესებულება ზრუნავდა ახალგაზრდა ოჯახების სოფელში ჩასახლებაზე და ამ მიმართულებით ატარებდა სხვადასხვა ღონისძიებას.

ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს"; მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება იყო ერთსართულიანი, შექმნილი იყო ინკლუზიური გარემო, სკოლაში იყო სამედიცინო ოთახი, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, დავით გურგენიძის განმარტებით, საბაზო საფეხურზე სკოლას ჰყავდა 3 მოსწავლე.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლას მისცა რჩევა, დაეხვეწა ვებ-გვერდზე ასახული ინფორმაცია სკოლის მისიის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 18:15

დასრულების დრო: 18:23

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ოფეთის N1 საჯარო სკოლას (ს/კ:238762790) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოფეთი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოფეთი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:
საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის აგვისტოში 2.1 და 2.2 (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) კომპონენტებთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის გამართვის და მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის ვაკანსიებზე კვალიფიციური კადრის აყვანისა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის გამართვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

7. სსიპ-ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს,

დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 20 და 21 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ ობჩაში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 60 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 60 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) და მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაცია და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულება იყო გარემონტებული, თუმცა გარე ფასადს ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია. სკოლას ჰქონდა რესურს და სამედიცინო ოთახები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორიები.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ისაუბრა დაწესებულების საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი და სასკოლო-სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული ჰქონდა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის განვითარება და დასაქმების ხელშეწყობა.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, უზრუნველყო თუ არა სკოლამ ინკლუზიური გარემო, კერძოდ, მოაწყო თუ არა ლიფტი. ექსპერტის, ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, სკოლამ ნაცვლად ლიფტისა, მოაწყო პანდუსი.

საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა რა ეტაპზე იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვა. ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განმარტა, რომ საავტორიზაციო ვიზიტის დროს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას ჰქონდა გამწოვი კარადა, ონკანი, მულაჟები და ყველა საჭირო რესურსი, თუმცა, განვითარების მიზნით მიმართული ჰქონდათ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის, თეა ელერდაშვილის განმარტებით, სკოლის რესურსი იძლეოდა სრულ შესაძლებლობას, კურიკულუმების შეუფერხებლად განხორციელებისათვის.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლას მისცა რჩევა, მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში მიეთითებინათ შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია და სკოლის დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოსთვის წარედგინა ვადების დაცვით, ასევე,

დაეხვეწათ სახელმწიფო შესყიდვების გეგმა და სკოლის წარმომადგენელს განუმარტა, რომ ბუნებრივი აირის, ელექტრო ენერგიისა და წყლის შესყიდვა არ ექვემდებარებოდა სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ასახვას.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განმარტა, რომ შრომით ხელშეკრულებებთან დაკავშირებით არ გასცა რჩევა, ვინაიდან სკოლას ხელშეკრულებაში გაწერილი ჰქონდა საათობრივი ანაზღაურება და აღნიშნული ჩათვალა საკმარისად.
მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განუმარტა სკოლის წარმომადგენელს, კონსულტაცია გაევლო რესურს-ცენტრის იურისტთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60 - ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 18:55
დასრულების დრო: 19:00

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლას (ს/კ:225065327) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი პირველი ობჩა.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფელი პირველი ობჩა.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის აგვისტოში 3.5 კომპონენტთან მიმართებით, ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 19:05 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა